

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

გაზეთი, 10 ივლისი, 2004 წელი. №162 (711)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეგულაციის და განაწესებული რუსეთი



რეგულაცია, პრაქტიკულად, ერთხელ იქნა მიღებული. ნინალმდგეი მხოლოდ რუსეთის დელეგაცია იყო. თუმცა, ნინო ბურჯანაძის ძალისხმევით შედეგად, თავად რუსეთის დელეგაციის წევრებს შორის აზრი ორად გაიყო.

A3

ეკონომიკა

ვინ აბრუნდება პურის კრიზისს?



"გლობალ-აგრო" - ასე უწეია ახლადშექმნილ გაერთიანებას, რომელიც, პირველ რიგში, პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე იზრუნებს, რათა ქვეყანას პურის კრიზისი არიდოს.

A4

უცხოეთი

ისრაელის უსაფრთხოების ბარიერი უკანონო



პრესაში გაუთნა ინფორმაციამ შააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც გამოტანილი იქნა ისრაელის მიერ გამყოფი ბარიერის მშენებლობის თაობაზე.

A5

საზოგადოება

ისკვ, მკვდარი სულაბი

A6

ანიმანი

10/7 11/7

თბილისი	27	29
ქუთაისი	25	29
ბათუმი	25	28
სოხუმი	27	28
ფოთი	26	28
თელავი	26	27
ზუგდიდი	26	29
ბორჯომი	23	26
ახმეტა	26	27
ჭიათურა	23	28
ბაზრა	26	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით: აშშ დოლარი 1.9251, ევრო 2.3829, გირვანქა სტერლ. 3.5634, რუბლი 0.0661

ერთი ნაბიჯი ომში რათქვამდა



იური ლოლოიანი ფოტო

ლელა მჭედლიძე

"ვითარება დაძაბული, მაგრამ კონტროლირებადი. პრეზიდენტი შემოთავაზებდა, მაგრამ ფლობს ინფორმაციას და იძლევა განკარგულებებს, რომელიც სიტუაციის სამართავად და საკითხის კომპლექსურად გადასაწყვეტად არის საჭირო." - ასეთი კომენტარი გააკეთა თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ, რომელმაც გუშინ პრეზიდენტთან დღის პირველ ნახევარში გამარ-

თული ძალოვნების შეკრება პირველად დატოვა. ირანიდან დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა თავდაპირველად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი მიიწვია სასაუბროდ. მოგვიანებით ქვეყნის მეთაურთან სათათბიროდ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები და საგარეო საქმეთა მინისტრი გამოეცხადნენ. დაახლოებით ასეთ რეჟიმში მუშაობდა საქართველოს მთავრობა მთელი დღის განმავლობაში. ბოლოს თათბირი, ძა-

ლოვნების სრული შემადგენლობით, მიხეილ სააკაშვილთან საღამოს ათი საათისთვის დაიწყო და გვიან ღამეზე გაგრძელდა. ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის და ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბრის თაობაზე გუშინ ზურაბ ჟვანიამ და გიორგი ბარამიძემ დაადასტურეს. ზურაბ ჟვანიას თქმით, საუბარი საკმაოდ კონსტრუქციული იყო. ბარამიძის განცხადებით, პრეზიდენტმა არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გაცვალეს. მოგვიანებით, პრეზიდენტის

პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილი აშშ-ს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელსა და უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველს კონდოლიზა რაისს ესაუბრა. პრესსამსახურის ცნობით, პაუელმა და რაისმა სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობის გამო შემოთავაზებულ და მოხილ სააკაშვილს ამ საკითხზე რუს კოლეგებთან დაკავშირებას დაჰპირდნენ.

ბაზრადება A3 ბავრდვა

შირინოვსკი - თბილისის ცირკში, სახსრათ ოსეთი - საქართველოს შამადგენლობაში

ასეთია ქართველი პარლამენტარების მესიჯი

გიორგი ასანიშვილი

ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი პარლამენტის ბიუროს ზოგიერთ წევრს სკოლის მოსწავლეს ადარებს და ჩივის, რომ "გაკვეთილზე" წესრიგის დამყარება ძალიან უჭირს. მართლაც, საკმარისი იყო, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე "მიშა მასწავლებელს" ოდნავ მოედუნებინა ყურადღება, რომ "ბავშვებიც" უმაღლესად დამოუდნენ ხოლმე და "საკლასო ოთახს" ყრიაშული აცხებდა. თუმცა, პარლამენტარები და ბავშვები მხოლოდ სიცვლქით როდი ჰგვანან ერთმანეთს: როგორც ჩამორჩენილ მონაფეს უჭირს საკონტროლო დაგვლების შესრულება, ბიუროს წევრებიც ასევე დაიტანჯნენ იმ განცხადების ტექსტის შედგენისას, რომელშიც ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება უნდა შეფასებულიყო.

ბაზრადება A3 ბავრდვა

ღუმა საქართველოს ტერიტორიების ანექსიისთვის ემზადება

რუსულან ნიკარაძე საა. კორ. მოსკოვი

რამდენიმე დღეა, რაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კაბინეტებში ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო პოლიტიკური განცხადების ტექსტი ითხზება.

შაბათის რიგგარეშე სხდომაზე როგორც ბაბურინის პატრიოტული ფრთა საქართველოს თვითღირსეული რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიღების საკითხის დღის წესრიგში დაყენებასაც აპირებს.

რუსეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ზავარზინის კომენტარით, "რუს სამშვიდობოებს კონფლიქტის ზონაში ალტერნატივა არ გაჩნია. უფრო მეტიც, მოსკოვი არ აპირებს სამხრეთ ოსეთში დსთ-ს სამშვიდობო პატილიონის გამოყენების საკითხის განხილვას".

სათათბიროს ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სამხრეთ ოსეთის მოვლენებზე პოლიტიკური განცხადების ტექსტი ძალზე მკაცრი იქნება.

ბაზრადება A3 ბავრდვა

ფართო საინფორმაციო სექტორი, ანალიტიკა, საზიარებო, სახანო, ინფორმაციული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურის და სპორტის სიახლეები, საერთაშორისო კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე სიახლეები აგებენ.

"24 საათი" ჩაერთვება - "საგარეო", "გიორგი", "დადასტურებ", "მონაფიქ", "ავტორიტეტი", "პროტესტი", "სპეცსამსახურები", "მედიაცი" და ტექნიკა, "ბულანდილად".

ერთობლივი პროექტები "საზოგადოებრივი ინიციატივა" და "სოფლის ფორმირება" განუხორციელებს მოქალაქეებს გათუფლებას და მოქალაქეობას. გათვითმკურნაობას გათ საგარეო სფერო და საზოგადოებრივი საკითხები.

"24 საათი" ექსპლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეწყობილებები ხელშეწყობის თაობაზე უნდა დაიდოს უზალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოიყენონ გაზეთის რესურსები და უზრუნველყოფილი იყოს მონაფიქის სტაბილურობა.

რუსეთის საბანკო პრობლემები საქართველოს ვერაფერს დააკლავს

რუსეთის საბანკო კრიზისი ემუქრება, საქართველო კი რუსეთის მუშობელი და სავაჭრო პარტნიორია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - რუსეთში სერიოზული საბანკო კრიზისის შექმნის შემთხვევაში, მოახდენს თუ არა ეს საქართველოს საბანკო სისტემაზე რაიმე გავლენას. ქართველი ექსპერტები და ბანკირები აღიარებენ, რომ მუშობელი ქვეყნის პრობლემები, გარკვეულწილად, ჩვენს ქვეყანაზეც იმოქმედებს.

ლიანა ჩაჩაძე

რუსეთი აშკარა საბანკო კრიზისის საფრთხის წინაშეა. ამის შესახებ გუშინ "24 საათში" უკვე შემოგთავაზოთ რუსი და უცხოელი ექსპერტების შეფასებები. ამჯერად ჩვენ ქართველი ექსპერტების და ბანკირების პოზიციის გაგებას შევეცადეთ. თითოეული ექსპერტის და ბანკირის პოზიცია ანალოგიურია. ყველა აღიარებს, რომ რუსეთის პრობლემა რუსეთის საქართველოზეც აისახება, თუმცა "ქართული საბანკო სისტემა არ არის მისიერად რეაგირებადი რუსეთის მოკლებებზე", - განაცხადა ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის და რეგულაციების სამმართველოს უფროსის მოადგილემ მამუკა მანაიძემ. ამავე აზრს იზიარებს გაერთიანებული ქართველი ბანკის წარმომადგენელი გიორგი გიორგაძე, რომელიც აცხადებს, "პრინციპში, დღეს რუსეთში არსებული სიტუაცია ჩვენზე არანაირ გავლენას არ ახდენს, თუმცა, თუ რუსეთის საბანკო პრობლემა უფრო გაღრმავდება, ბუნებრივია, ეს ასახავს შვეიცარიის საქართველოზე. ასეთ შემთხვევაშიც კი დიდი რყევები მოსალოდნელი არ არის."

თითქმის ყველა ექსპერტი თუ ბანკირი თანხმდება იმ საკითხზე, რომ რუსეთის პრობლემები ქართულ საბანკო სექტორზე მხოლოდ გრძელვადიანი კრიზისის შემთხვევაში მოახდენს გავლენას. "უნდა ვაფრთხილდეთ ერთი რამ - რა სახის კრიზისთან გვაქვს საქმე, მოკლევადიანთან თუ გრძელვადიანთან. ამის შემდეგ უკვე შეგვეძლება მსჯელობა, როგორი სიტუაცია გვექნება ჩვენთან. კერძოდ, საქართველოში რაიმე ნეგატიურ შედეგებზე საუბარს მხოლოდ გრძელვადიანი კრიზისის შემთხვევაში უნდა ახარი", - აღნიშნა საქართველოს ბანკის ასოციაციის თავმჯდომარემ გოგიტა ცუციერიძემ.

დღემდე საქართველოს საბანკო სისტემა არ არის ინტეგრირებული რუსეთთან, რაც იმის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, რომ ჩვენი ქვეყანა მეზობელი სახელმწიფოს კრიზისის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ არ მოხვდეს, ამ მოსაზრებას ყველა ექსპერტი იზიარებს.

აღბათ, ბევრს ასოსეს 1998 წელს მომხდარი, რუსეთის საფინანსო კრიზისი, რაც საქართველოზეც სერიოზულად აისახა. რუსეთში ისტორიის განმკვირვების ექვთუბე უკვე გაჩნდა, თუმცა როგორც გუშინველ სტატიაში იყო ნათქვამი, ბევრმა რუსმა ექსპერტმა უაზროს ეს მოსაზრება, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთის ამჟამინდელი პრობლემები იმ მასშტაბების დარის, რასაც 1998 წელს ჰქონდა ადგილი. "თუ 1998 წელს მომხდარ კრიზისსა და დღევანდელ დღეს შორის პარალელს გავავლებთ, რა თქმა უნდა, მაშინდელი მასშტაბები

ორი სიტყვით

თბილისი. ავიასაწარმოებს რეგულირების საფასურის გადახდა სექტემბრიდან დაეკისრება. საქართველოს პრეზიდენტი ორბაძის ხელს მოაწერს სახელმწიფო რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებს. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, გიორგი მჭავანაძემ "პრემიისთვის" ინტერვიუში განაცხადა, რომ რეგულირების საფასური, რომლის 2-პროცენტსაც ზედა ზღვარი ერთი კვირის წინ პარლამენტმა დააკანონა, ავიაკომპანიებისთვის არსებულ 5 აშშ დოლარს არ გადააჭარბებს, ხოლო საქართველიავიაცია შემოსავლის 2 პროცენტით დაიბეგრება. **პრემიისთვის**

ბაქო. აზერბაიჯანის მენავთობეთა პროფკავშირი ევროსასამართლოსთვის მორატორიუმს აპირებს. ბაქოში მორატორიუმის დასრულების შემდეგ, ბაქოში ინფორმაციით, ამის მიზეზი უცხოური კომპანიების მიერ აზერბაიჯანის მოქალაქეთა - მშენებლობაზე დასაქმებულ მუშათა უფლებების უხეში დარღვევაა. ამის გამო, აზერბაიჯანის მენავთობეთა უკვე არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს. თუმცა, ბოლო შემთხვევამ, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე, სამუხის მოსაკვეთზე მოხდა, მენავთობეთა აღმფთვებელ გამოსწვია. ერთ-ერთმა უცხოელმა აზერბაიჯანელი მუშა სასტიკად სცემა. **მედია-ნიუსი**

ოზურგეთი. საქართველოს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის საცდელი მექანიკური ქარხანა ოზურგეთში ჩაისა და ჩაის ბუქიჭიანი პლანეტების მძიმე და ნეჩვერადმიმე სასხლავი მანქანების გამოშვებას იწყებს. ამის შესახებ გუშინ, ოზურგეთში გამართულ პრესკონფერენციაზე მეცნიერ-გამომგონებელმა ზაზა მამარბოლძემ განაცხადა. 50 ტყვის ძაღს, 1500 აშშ დოლარის ღირებულების მანქანა სეროულ გამოშვებამდე 10 ცალი გამოვა. დაახლოებით, ანალოგიური ტიპის მანქანების ყიდვა სახელმწიფოს დღემდე საზღვარგარეთ თითოეული 15 ათასი დოლარი უფლებდებოდა. **ინტერ-პრესი**

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.9251 ლარის ნიშნულზე დაბალანდა. სულ ვაჭრობაში ხუთი კომერციული ბანკი მონაწილეობდა. დაიძლი ოთხი საბირჟო ვაჭრიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 1 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. საბირჟო ვაჭრობა კურსით 1 დოლარი - 1.9201 ლარი დაინიყო. ეროვნულ ბანკს დღევანდელ ვაჭრობაში მონაწილეობა არ მიუღია. ამავე პერიოდისთვის შიდა სავალუტო ბაზარზე გადამცემული პუნქტები 1 დოლარს 1.9250 ლარად ყიდულობდნენ და 1.93 ლარად ჰყიდდნენ. **ინტერ-პრესი**

მარიამ ჯაჭვაძე

საქართველოში ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა კიდევ ერთი ასოციაცია იქმნება. "გლობალ-აგრო" - ასე უქვია ახლადქმნილ გაერთიანებას, რომელიც, პირველ რიგში, პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე იზრუნებს, რათა ქვეყანას პურის კრიზისი აარიდოს. გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მართიში" ამ ორგანიზაციის პრეზენტაცია მოეწყო.

ქვეყნისათვის პურის კრიზისის აცილების გარდა, "გლობალ-აგროს", როგორც მისი დამფუძნებლები ამბობენ, საქმე თავზესაყერი ექნება. პირველი ნაბიჯები, რითაც ასოციაცია უზრუნველყოფს მომავალში აქტიურ მუშაობას დაიწყებს, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის მონერგება იქნება. "გლობალ-აგროს" პრეზიდენტი არკადი შუქურაშვილი ამბობს, რომ დღეს მოქმედ კანონმდებლობაში მთელი რიგი ხარვეზები და ნინაღმდგომები არსებობს, რაც ხორბლისა და პურპროდუქტების წარმოებას სერიოზულად უშლის ხელს. ამის პარალელურად ასოციაციის წევრები აპირებენ აქტიურად ჩაება ახალი სავადასახად კოდექსის ფორმირებაში, განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, რაც პირდაპირ თუ ირიბად, მათი დარგის განვითარებას ეხება.

"გლობალ-აგროს" დამფუძნებლების განცხადებით, ასოციაციის კიდევ ერთი მთავარი პრიორიტეტი ხორბლისა და პურპროდუქტების კონტრაბანდის აღმკვეთი ღონისძიებებზეა და მექანიზმების ჩამოყალიბება იქნება.

თორნიკა პარაშინიძე

მიმდინარე წელს ინდოეთის ეკონომიკური ზრდა 7-8 პროცენტზე ავა. გასულ წლის 8,2-პროცენტთან ზრდის შემდეგ, ეს მაჩვენებელი სპეციალისტებში უკვე გარკვეულ პანიკას ეკივიტს, რადგან ასეთ ზრდას ეკონომიკის "გადაზუმების" და ინფლაციის საშიშროება ახლავს ხოლმე. სწორედ ამიტომ, ინდოეთის ცენტრალური ბანკი მაღალ, ალბათ, მიმდინარე ღონებზე შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რათა ეკონომიკური ზრდა ზომიერ ტემპებს დაუბრუნოს. ინდოეთის ეკონომიკას მესამე ადგილი უჭირავს აზიამში, იაპონიისა და ჩინეთის შემდეგ, და მას სპეციალისტები მეტად კარგ პერსპექტივებს უწიან. სანარმეტყველებენ. თუმცა, "უნდა აღინიშნოს, რომ შთაბეჭდილი მაჩვენებლებში, ძირითადად, სოფლის მეურნეობის ხარჯზე მიღწევა, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი მოდის. ამიტომ, არსებული ტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, ინდოეთის ეკონომიკა მსოფლიო ბაზარზე, ვალუტის რყევაზე უფრო, უამინდობაზე რეაგირებს. გასულ

ვინ აბჰასილავს პურის კრიზისს?



ნაილ ლაზარუსი ფოტო

ბა. ერგენეთის გადაკეთების შემდეგ, მართალია, კონტრაბანდის მოცულობამ ადგილობრივ ბაზარზე მნიშვნელოვნად იკლო, მაგრამ, როგორც პრევენციაციაზე მოსულმა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდუნიძემ აღნიშნა, განუზრუნვებელი ფაქტორები მთელი რიგი ნაწილი "ნთელი ხილდები" მაინც აღწევს ქვეყანაში.

კონკურენტუნარიანი სამწარმოო გარემოს ფორმირება, მენარმეთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა - ეს ის საკითხებია, რომელზედაც "გლობალ-აგროს" საქმიანობა იქნება მომავალში ფოკუსირებული. არკადი შუქურაშვილი ამბობს, რომ ზემოთსახსრებული მიზნების სწრაფად მისაღწევად "გლობალ-აგროს" ხელისუფ-

ლები თანადგომა სჭირდება. "ვეფირობთ, რომ ხელისუფლების ყველა შტოსთან აქტიური თანამშრომლობა ჩვენი მუშაობის შედეგები უფრო ეფექტური იქნება," - აღნიშნეს ასოციაციის წევრებმა.

მენარმეთა გუშინ გაცხადებულ თითქმის ყველა ინიციატივას მხარს უჭერს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. როგორც სამინისტროს გადაამუშავებული მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ომარ კაჭარავა ამბობს, ადგილობრივი ხორბლის მწარმოებელთა და გადამამუშავებელი ქარხნების ინტერესების თანხვედრა დარგში არსებული პრობლემების გადაჭრას ხელს შეუწყობს.

ცნობისათვის, "გლობალ-აგროს" შვიდი მსხვილი დამფუძნებელი ჰყავს. ესენია: შპს "ალაფი", შპს "გელა ვანეთელი", სს "დიდუბის ნისქვილქარხანა", საქართველოს ფქვილისა და პურის მენარმეთა გილდია "აგროექსპრესი", შპს "შეკაბანი", შპს "პროგრესი" და შპს "ფორტე". ასოციაციის პრეზიდენტის თქმით, "გლობალ-აგროს" კარი ნებისმიერი მენარმისთვის ღიაა, მასში განვრიანება კი ყველა დაინტერესებულ პირს მართვად შეუძლია. ამ დროისთვის ასოციაციაში გაერთიანებულია ადგილობრივი ნედლეულის მწარმოებელი რამდენიმე ფერმერი, გადამამუშავებელი მრეწველობისა და პურპროდუქტების მწარმე.

ფქვილისა და ხორბლის კონტრაბანდის კიდევ ერთი ორგანიზაცია შეებრომლება.

ინდოეთის ეკონომიკა რიწურს ტოლს არ უდებს

წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი ზრდის უპირველესი მიზეზი სწორედ მოსავლისათვის ხელსაყრელი ამინდი იყო. შესაბამისად, ერთი წლის წინ ეკონომიკური ზრდა უმნიშვნელო იყო, რისი მიზეზიც უამინდობა გახლდათ.

სოფლის მეურნეობაზე ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ბევრი სპეციალისტი ინდოეთს ჩინეთზე ეკონომიკის "გადაზუმების" და ინფლაციის საშიშროება ახლავს ხოლმე. სწორედ ამიტომ, ინდოეთის ცენტრალური ბანკი მაღალ, ალბათ, მიმდინარე ღონებზე შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს, რათა ეკონომიკური ზრდა ზომიერ ტემპებს დაუბრუნოს. ინდოეთის ეკონომიკას მესამე ადგილი უჭირავს აზიამში, იაპონიისა და ჩინეთის შემდეგ, და მას სპეციალისტები მეტად კარგ პერსპექტივებს უწიან. სანარმეტყველებენ. თუმცა, "უნდა აღინიშნოს, რომ შთაბეჭდილი მაჩვენებლებში, ძირითადად, სოფლის მეურნეობის ხარჯზე მიღწევა, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი მოდის. ამიტომ, არსებული ტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, ინდოეთის ეკონომიკა მსოფლიო ბაზარზე, ვალუტის რყევაზე უფრო, უამინდობაზე რეაგირებს. გასულ

რომ ეკონომიკის სწრაფი განვითარება სესხების აღების რისკს სრულიად ამართლებს. სწორედ ამავე მოსაზრებით, საპროცენტო განაკვეთი ბოლო 30 წლის განმავლობაში სარეგულაციოდ დაბალა. ამან, ერთი მხრივ, სამწარმოო გარემო გააუმჯობესა, მაგრამ მეორე მხრივ, სამთავრობო შემოსავალი კიდევ უფრო შეამცირა. მაგრამ ამის მიუხედავად, ინდოეთის მთავრობა მტკიცედ დგას მის მიერ არჩეული კურსზე, რომელიც რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან საკმაოდ განსხვავებულია, მაგრამ რომელიც, ჯერჯერობით, ამართლებს. მაგალითად, იგივე ჩინეთისგან განსხვავებით, ინდოეთს აქცენტი გარე ინვესტიციების მოზიდვაზე არ გაუკეთებია. მართალია, ამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სისტემა სოციალისტურადაა მიწვეული, მაგრამ ეს უფრო ზომიერი სოციალიზმი, რომელიც ხელისუფლების დემოკრატიულობის გათვალისწინებით, საბჭოური სისტემისაგან ძალიან შორს დგას. აქედან გამომდინარე, შიდა სამწარმოო საქმიანობისათვის ყოველთვის კარგი პირობები იყო შექმნილი და ამან საბოლოოდ შედეგი გამოიღო. ისევ ჩინეთს თუ შევადარებთ, მართალია, მსოფლიოს

ყოველ კუთხეში "შიდ ინ ჩაინა"-თი დამყვენებულ საკონკრეტო ვანდებით, მაგრამ ამავე დროს, რომელიმე ცნობილი ჩინური მარკის, ჩინური კომპანიის დასახლება ყველა მომხმარებელს გაუჭირდება. მიზეზი ისაა, რომ ჩინური კომპანიები მსოფლიო ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი არიან და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკა ხომ ინვესტიციების მოზიდვას ემყარება და ემყარება. შიდა ბაზარზე აქ კონკურენცია თითქმის არ იყო, მხოლოდ სახელმწიფო მონოპოლით იყო დაცვის ქვეშ. შედეგად, შესაძლოა "მაკდონალდსის" სათამაშოები იმ "ბარში" ჩინეთში მზადდებოდეს, მაგრამ ეს ხომ ჩინური მარკები არაა. ინდოეთში კი თანდათანობით მოძლიერდნენ ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც ახლა მსოფლიო მასშტაბით არიან კონკურენტუნარიანი. ეს არის იგივე პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტები "ინფოზისი" და "უიბორ", ფარმაცევტული და ბიოტექნიკური ფირმები "რანბაქსი" და "დოქტორ რედის ლეზი" და სხვა. "ფორბსის" საუკეთესო 200 კომპანიაში 13 ინდური კომპანია მოხვდა და მხოლოდ 4 - ჩინური.

ვიზა ყველგან და ყოველთვის

თიბისი ბანკის VISA ბარათები

- ✓ საზღვარგარეთ მიემგზავრებით?
- ✓ ხარჯების კონტროლი გსურთ?
- ✓ თანხის საიმედო შენახვა გინდათ?

და რა თქმა უნდა არ გსურთ ზედმეტი პრობლემები!

მაშინ აირჩიეთ ხარისხიანი და საიმედო თიბისის ბანკის ვიზა პლასტიკური ბარათები

სიასტლი!

ვიზა ბარათით შესაძლებელია ინტარნეტის და მოზილური ტელეფონის საშუალებით:

- დენის, წყლის, ტელეფონის, ინტარნეტის და სხვა კომუნალური ხაზსასაღების გადახდა
- MAGT GSM /თრე/ და Geocell-ის /ლი/ლი/ სმტარ/ ბარათების შექმნა
- თქვენს ანგარიშზე ნაშთის გადახრევა, ბარათის დაბლოკვა და სხვა

მომსახურების სახე	ვიზა პლასტიკური ბარათი	ვიზა პლასტიკური აშშ დოლარით	ვიზა ინტარნეტი აშშ დოლარით	ვიზა კლასიკი აშშ დოლარით
• საკომიო საავტოო ობიექტებში	0%	0%	0.25%	0.25%
• თანხის განაღდება თიბისი ბანკის ბანკომატებში	0.5%	0.5%	0.5%	0.5%
• ბარათის ფლოტის მომსახურება	10 ლარი	10 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი	30 აშშ დოლარი
• პირველი შენახვა ანგარიშზე და მინიმალური ნაშთი	25 ლარი	20 აშშ დოლარით	20 აშშ დოლარით	100 აშშ დოლარით

გაყის ფილიალი ვერის ფილიალი მთავრობის ფილიალი მთავრობის ფილიალი

პეკეაქაქის გაშე. 11 მულოქიშვილის გაშე. 18 რუსთაველის გაშე. 1 დადიანის გაშე. 109

ტელ. 22 06 61 ტელ. 22 25 37 ტელ. 92 36 72 ტელ. 69 68 69

— ორი სიტყვით —

სომხეთი. საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შემდეგ, ევროკავშირის გაფართოებისა და "ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" კომისარი იანკო პოტორნიკი სომხეთში გაემგზავრა. იგი იქ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ვარდან ოსკანიანს შეხვდა. "არმენპრესის" ცნობით, ევროკომისარმა სომხეთის ხელისუფლებასაც, საქართველოს მსგავსად, ამა წლის ივნისში მიღებული "ახალი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის" პროგრამა წარუდგინა. ევროკავშირთან თანამშრომლობის ახალი პროგრამის პირველ ეტაპზე, კონკრეტულად - გაზაფხულამდე, განზრახულია სომხეთის შესახებ მოხსენების მომზადება, რომელზე დაყრდნობითაც ვადები და პროგრამის შინაარსი განისაზღვრება.

ორივე მხარის მიერ განსაკუთრებული იქნა აღნიშნული ევროორიენტაციის საკითხებთან დაკავშირებით საკოორდინაციო ორგანოს შექმნის მნიშვნელობა.

შემდეგ საუბარი შეეხო საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულ მოვლენებს, განსაკუთრებულად აღინიშნა ყარაბაღის კონფლიქტის რეგულირების გზები სომხეთ-თურქეთთან მიმართებაში და ასევე კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის საკითხი.

იანკო პოტორნიკის განცხადებით, "სომხეთისთვის მნიშვნელოვანია, თურქეთმა დაიცვა ყველა ნორმა, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის აუცილებელია. არც ერთ წევრ-ქვეყანას არ შეუძლია იმ პრინციპებიდან გადახვევა, რომელთაც მათ ევროკავშირი ავალდებულებს".

არმენპრესა
■ ■ ■
უკრაინა. უკრაინის შეიარაღებული ძალების დასავლეთის ოპერატიული ხელმძღვანელობის საწვრთბელი ინახება, დაახლოებით, 4 000 ტონა მომზამეული მჭავა, რომელიც "სელან-ფის" ტიპის სარაკეტო სანავიის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. იგი გამოიყენება კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებში. ამ ფაქტის შესახებ განცხადება ლეოვის პრესკონფერენციაზე სამხედრო ექსპერტმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრ პუშკარმა გააკეთა.

უკრაინის ამჟამინდელ შეიარაღებაში აღარ არის ასეთი ტიპის რაკეტები, მაგრამ დარჩენილია მისთვის განკუთვნილი სანავი, რომელიც გარემოს დიდ საფრთხეს უქმნის. აღნიშნული სანავით სანავიები უკრაინაში რადეზხოვოში (ლეოვის ოლქი), ცენტრისა (ივანო-ფრანკოს ოლქი) და კალინოვკაში (ვინიციის ოლქი) გაბნეულია.
"ზენორმატიული მარაგის ლიკვიდაცია დღეს შეუძლებელია, რადგან უკრაინას შესაბამისი ტექნოლოგიები არ აქვს," - განაცხადა ბლოკ "ჩვენი უკრაინის" ხელმძღვანელმა ლეოვიდან, პოტრ ოლიინიკმა. **იტარტასი**

■ ■ ■
უკრაინა. პაგაში უკრაინა-ევროკავშირის სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტი ლეოვი კუჩმა აცხადებს, რომ "უკრაინა არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად ევროკავშირში განუვითარებისთვის მზად არ არის". მისი განცხადებით, უკრაინა იმედოვნებს, ევროკავშირთან მოქმედების გეგმას ამა წლის დეკემბერში მოაწეროს ხელი. აღნიშნულ გეგმაზე ხელის მოწერას უკრაინა 8 ივლისს პაგაში გამართულ სამიტზე გეგმავდა. უკრაინა თანახმაა, გააგრძელოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან მოქმედების გეგმის შესახებ მანამდე, სანამ მასში არ იქნება შეტანილი ცვლილებები მნიშვნელოვანი პუნქტების შესახებ - კერძოდ, უკრაინამ მიიღოს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი და სავიზო რეჟიმის გამარტივება.
მხარეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინას მიენიჭება საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი მაშინვე, როგორც კი "აუცილებელი პირობები შესრულებული იქნება". **იტარტასი**

ყაზახეთმა მიგრაციის უარყოფითი სალდო გადალახა

"იტარტასის" ცნობით, ყაზახეთის მიგრაციისა და დემოგრაფიის სააგენტოს ხელმძღვანელის, ალტინბაი ჯაგანოვას განცხადებით, ქვეყნის მოსახლეობის როდენობამ 15 მლნ კაცს მიაღწია. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ ქვეყანა დაახლოებით 2.5 მლნ ადამიანმა დატოვა. სტატისტიკური მონაცემებით, იმავე 90-იან წლებში ქვეყნიდან ემიგრირებული რიცხვი ბევრად სჭარბობდა იმიგრირებულთა რაოდენობას.
უკანასკნელ პერიოდში კი დემოგრაფიული ვითარების ცვლი-

ისრაელის უსაფრთხოების ბარიერი უკანონოა

პრესაში გაუონა ინფორმაციამ შააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც გამოტანილი იქნა ისრაელის მიერ გამყოფი ბარიერის მშენებლობის თაობაზე. საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ამნებელი ბარიერი, რომელიც ისრაელს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე მიწებისკენ ყოფს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება.



უსაფრთხოების ბარიერი B40-კილომეტრიანი ზოლის გასწვრივ უნდა აღიშროოს

სააგენტო როიტერი, რომლის ხელშიც სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი აღმოჩნდა, ვერდიქტის ციტირებას ახდენს: "ბარიერის შექმნა და მისი თანმდევი პოლიტიკა საერთაშორისო კანონებს ეწინააღმდეგება." ებრაული გაზეთი "ჰარეცი", რომელმაც ასევე მიიღო გადაწყვეტილების ასლი, წერს, რომ ბარიერის არსებობა პალესტინელთა უფლებებს არღვევს და მათთვის კომპენსაციის გადახდას საჭირო.
შააგის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, დადგენილების ერთადერთი ოფიციალური ტექსტი ვერდიქტის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ გამოქვეყნდება.

თუმცა, ევროკავშირი აღნიშნულ შეტყობინებას უკვე გამოეხმაურა. მათ ისრაელს დასავლეთ სანაპიროსა და იერუსალიმის ტერიტორიებზე არსებული გამყოფი ნაგებობების დემონტაჟი მოსთხოვეს. "რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოიტანა, რომლებიც ჩვენს მოსაზრებებს ემთხვევა," - განაცხადა ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟან-კრისტოფ ფილორემ. "ამიტომ ევროკავშირი კვლავ მოუწოდებს ისრაელს, მოხსნას ბარიერი პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მათ შორის - აღმოსავლეთ იერუსალიმშიც."

კორესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება

მის აუცილებლად შესრულებას არ მოითხოვს. ისრაელმა უკვე განაცხადა, რომ ყურად არ იღებს მისი პოლიტიკის მიმართ გაკეთებულ რაიმე კრიტიკულ რეკომენდაციას. თუმცა, მოსამართლეთა გადაწყვეტილება და ებრაელ-სამართალმცოდნეებთან შეთანხმება, პალესტინელთა პოზიციებს უდავოდ გაამყარებს.

შააგის სასამართლოს ბარიერის მშენებლობის სამართლიანობის თაობაზე გადაწყვეტილება ზუთთვიანი სასამართლო გარეგნის შემდეგ გამოაქვს. გასული წლის დეკემბერში გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მოსამართლეებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსულტაციო დადგენილებების გამოტანის თხოვნით მიმართა.

ისრაელი არმშენებდა, რომ ბარიერის მშენებლობა აუცილებელია იმისათვის, რათა ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელმა ბოიკოტებმა არ შემოაღწიონ. პალესტინელები კი მიიჩნევენ, რომ ბარიერის მშენებლობის დროს ისრაელი მათი კუთვნილი მიწების გარკვეული ნაწილის ანექსირებას ახორციელებს.

კამიკაძე-ტეროროსტების ებრაელ მსხვერპლთა ოჯახები სასამართლოს შენობასთან პარასკევს, ამ ერთ-ერთ ყველაზე განმარტებულ საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანის მოლოდინში შეიკრიბნენ. მათი მტკიცებით, ბარიერი, ისრაელის უსაფრთხოების

თვალსაზრისით, სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია.

ნაგებობის დიდი ნაწილი 1967 წლამდე არსებულ საზღვრებს ემთხვევა, თუმცა, მისი ზოგიერთი ფრაგმენტი მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზეა განლაგებული. პალესტინელები აცხადებენ, რომ აღნიშნული ფაქტი სიცოცხლისუნარიანი და ქმედუნარიანი პალესტინური სახელმწიფოს შექმნას მნიშვნელოვან აფერხებს.

სასამართლოს მისამართით 40-ზე მეტი ქვეყნის წერილობითი არგუმენტაცია დაიგზავნა. მიუხედავად ამისა, ისრაელი, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო მიიჩნევენ, რომ სასამართლომ აღნიშნული საქმე არ უნდა განიხილოს. მათი განცხადებით, პრობლემა უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე იურიდიულს და, ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, რეგიონში საშუალოდ პროცესს საერთაშორისო ზიანი მიყენოს.

იმავედროულად, ისრაელის სასამართლომ სულ ცოტა ხნის წინ მიიღო დადგენილება, რომ ბარიერის მარშრუტი მის რამდენიმე მონაკვეთში პალესტინელთა უფლებებს არღვევს და დიდ ზარალს აყენებს იმ სოფლების მოსახლეობას, რომლებზედაც გამოყოფილი კედელი გადის. სასამართლომ ქვეყნის მთავრობას მარშრუტის შეცვლა და ზოგიერთი პალესტინელი ფერმერისათვის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

თურქეთს ერაყის ქურთისტანიდან ზარი არ გამოჰყავს

იტარტასის თანახმად, თურქეთის გენშტაბის ხელმძღვანელის მოადგილემ, გენერალმა ბასატურმა განაცხადა, რომ თურქული ჯარები ერაყის ქურთისტანში მანამდე დარჩება, სანამ იქ მიმალული ქურთთა მუშათა პარტიის წევრებისგან შემდგარი შეიარაღებული დაჯგუფების ლიკვიდაცია არ მოხდება.

მისი თქმით, ერაყის ქურთისტანში ფარულად გადასულია ქურთთა მუშათა პარტიის 5 000 წევრი. ერაყის საზღვართან დასლოცირებული თურქეთის არმიის კონტინგენტი კი, დაახლოებით, 1 000 ჯა-

რისკაცისა და ოფიცრისგან შედგება და, გარდა ამისა, იქნება მოზილიზებული ჯგუფან-სატანკო ქვეყნოყოფილება.

ბასატურმა უპიდაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ აშშ, რომელმაც ქურთთა მუშათა პარტია ტერორისტულ ორგანიზაციად ცნო, პრაქტიკულად, არავითარ ზომას არ მიმართავს ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე მყოფი ზემოაღნიშნული პარტიის მეზობლების წინააღმდეგ. ამ განცხადების პარალელურად, გენერალმა დადებითი შეფასება მისცა ირანის უშიშროების ძალების მოქმედებას,

რომლებმაც უკვე ჩაატარეს რამდენიმე წარმატებული ოპერაცია თურქეთიდან ირანში შეჭრილი ქურთთა მუშათა პარტიის მეზობლების წინააღმდეგ.

ქურთთა მუშათა პარტია, დაახლოებით 15 წელია, რაც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინცი-ში ავტონომიის მოთხოვნის საფუძველზე შეიარაღებულ მოქმედებაზე გადასულია. ეს რეგიონი კი, როგორც ცნობილია, 14 მლნ ქურთით მჭიდროდა დასახლებულია. 15-წლიანი კონფლიქტის მსვლელობის დაღუპული რიცხვი, სულ მცირე, 37 000 კაცს აღწევს.

ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში სლოვენიალი ექსპერტი მაკედონიას სტუმრობს

სლოვენიალი ექსპერტი, მომი-ირ მრაკი, ლუბლიანას ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი, 8-10 ივლისს სამუშაო ვიზიტით მაკედონიაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში განიხილება ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური პერსპექტივა და მაკედონიისთვის ევროკავშირის ფონდების ხელმისაწვდომობა. სამუშაო მისის მიზანია ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის ხელშეწყობა და ევროკავშირის ფონდების პრაქტიკული ცნობარის მომზადება, რამაც მაკედონიაში სოციალურ-ეკონომიკური პირო-

ბების გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი.

სლოვენიალი ექსპერტის ვიზიტს მაკედონიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული 2007-2013 წლებში ევროკავშირის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის გაგრძელება აღბათობა. მაკედონია კი, ევროკავშირის წევრობის პრეტენდენტი ქვეყანაა, დაინტერესებულია ევროკავშირის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტივით. აღნიშნულ პროგრამას მაკედონ-

ნიასთან მიმართებაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1992-2000 წლებში ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკამ ევროკავშირისგან 475 მლნ ევრო მიიღო, ხოლო 2001-2004 წლებისთვის ევროკომისიის მიერ მაკედონიისთვის "CARDS"-ის პროგრამის ფარგლებში 173 მლნ ევრო იყო გათვალისწინებული.

შეხვედრას ესწრებიან როგორც მაკედონიის სამინისტროებისა და აკადემიის, ასევე ხორვატიის ევროინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს გამანაწილებელი ქალკვანი კარადების მოწოდებაზე:
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.
დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 14 ივლისამდე; მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 20 ივლისი.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს 0,4 კვ სავაპოო ხაზების აშენების სამუშაოების (ლითონის ანკები) მოწოდებაზე:
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.
დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 13 ივლისამდე; მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 19 ივლისი.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს დამჭერი სადენის გვარლის "U"-საზრის მოწოდებაზე:
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ 2004 წლის 13 ივლისამდე; მისამართი: თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 19 ივლისი

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერჯის მიწოდება დროებით შეუწყდება:

12 ივლისს 10.00-დან 18.00-ს-მდე: მუხიანის IV ბ მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 82 კანდიდატმა. საკონკურსო კომისიის მიერ შემდგომი განხილვისათვის შერჩეულ იქნა 12 კანდიდატი:

- მიხეილ ადვიშვილი - შპს "საქართველოს ტელეკომი"-ს ფინანსური დირექტორი;
- პანს ფონ სამუნ ალტენბერგი - ნავთობკომპანია "პრიმრო-უზი"-ს ყოფილი პრეზიდენტი (დალასი, ტეხასის შტატი, აშშ);
- ლევან ბაღდავაძე - "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანის" ვიცე-პრეზიდენტი;
- გურამ ვარშალაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ქაბურღილების ბურღვის ტექნიკოს და ტექნოლოგიების კათედრის გამგე;
- გია ითონიშვილი - საქართველოს ნავთობის და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ყოფილი უფროსი;
- მიხეილ კერვალიშვილი - ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოში" ეკონომიკური განვითარების პროგრამის კოორდინატორი;
- არჩილ მალალაშვილი - გეოლოგიური დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
- ვალერი ნანობაშვილი - შპს "ქსელი სანეტი"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე;
- გიორგი რუსაშვილი - ბრიტანული კომპანია "ფაირკრ-ოფტ ინჟინირინგ სერვისიზ"-ის ფილიალის გენერალური დირექტორი;
- ლევან ფურცელაძე - სს "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილე;
- ავთანდილ შარაძენიძე - შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემების" სემთევალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი;
- გიორგი ძიძიგური - სამართლებრივ და ეკონომიკურ რჩევათა ქართულ-ევროპული ცენტრის დირექტორი.

წლევიანდელი წლის 17 ივლისამდე გამოქვეყნდება დასკვნით ეტაპზე განსახილველ კანდიდატთა სია. კონკურსში გამარჯვებულის ვინაობა გამოცხადდება 20 ივლისამდე.

სს "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს საკონკურსო კომისია

საფრანგეთის საელჩოს საქართველოში აცხადებს კონკურსს პრეს-ატაშე/მთარგმნელი/თარგმნის მოსტა

კანდიდატი სამუშაოზე უნდა გამოცხადდეს 1 აგვისტოდან. აღნიშნულ ვაკანსიაზე კანდიდატურა უნდა წარადგინოს საქართველოს რეზიდენტებმა, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებს და აქვთ აგრეთვე სერიოზული გამოცდილება საზოგადოებრივ საქმეებსა და სახელმწიფო მმართველობის სფეროში. განსაკუთრებით დაფასდება პროფესიული გამოცდილება ქართულ ან საერთაშორისო ადმინისტრაციაში, ჟურნალისტიკაში ან საუნივერსიტეტო სფეროში. რეზიუმეები, თანდართული მოტივაციის წერილითა და კანდიდატის პუბლიკაციებით ან კვლევით ნაშრომებით, უნდა წარადგინოს საფრანგეთის საელჩოს პრეს-სამსახურს მისამართზე: გოგებაშვილის 15, ტელეფონი: 93 42 10.

ვინ რითი ერთობა



ანჯელინა ყოლი ტატუთი ერთობა

ჰოლივუდის ვარსკვლავ ანჯელინა ყოლის შესახებ მოხსენებისას ყურნალისტებს ერთი დიდი გასაჭირი ადგათ: მისი სვირინგების რაოდენობა ვერ დაუდგენიათ. წესით, ანჯელინას მშვენიერ სხეულს დაახლოებით ოცი ტატუ უნდა ჰქონოდა. ინტერნეტ-სამსახურმა "ანანოვამ" ახალი ამბავი შეიტყო - 29 წლის ანჯელინა საგანგებოდ იმისთვის გადაფრინდა ტაილანდში, რომ ბანკოკის საუკეთესო სვირინგის ოსტატთან, სომპონ კანპასთან კიდევ ერთი ტატუ გაეკეთებინა - 30 სანტიმეტრიანი ვეფხვი, რომელიც დღეს მის ზურგს უკვე ამშვენებს. ამ საქმისთვის ოსტატმა მას სასტუმროში მიაკითხა და იქ ორი საათის განმავლობაში იმუშავა.

პარიზში მსახიობმა ძველკამოჯური წარწერა ამოსვირინგა, რომელიც უბედურებისგან დასაცავად იყო განკუთვნილი. ყოლიმ თქვა, რომ მას შემდეგ საოცრად ბედნიერ ქალად გრძნობს თავს და ამიტომ გადაწყვიტა, კიდევ ერთი სვირინგი დაემატებინა, თან უბრალო კი არა, სულ ლოცვა-ლოცვით გაკეთებული.

ანჯელინა ერთობ ექსტრავაგანტული ქალბატონი ბრძანდება, მაგრამ უნდა ვალიართ, რომ სხევეზე ჭორაობა მაინც არ ახასიათებს - უბრალოდ, არ სჭირდება, ისედაც კარგად გრძნობს თავს. გასართობი ინდუსტრიის სხვა ვარსკვლავები კი ხშირად სწორედ ამ ხერხს მიმართავენ ხოლმე საზოგადოების მოდუნებული ყურადღების მისაპყრობად.

ასე, კანადელი მომღერალი ევრილ ლეგინი ფილოსოფოსობს: "ის, რომ სახელგანთქმული ხარ, სულაც არ ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ რამეს წარმოადგენ და სხვა ადამიანებს რამით სჯობხარ. დიდება ერთგვარი ხუმრობაა. დროა, ვარსკვლავები გონს მოეგონ და საკუთარ თავზე ამხელა წარმოდგენა არ ჰქონდეთ," ამბობს ის. მაგალითად იმისა, თუ როგორ ლუპავს ადამიანს უშეცრება, მას ბრიტნი სპირსი მოჰყავს, რომელიც "ყოველგვარ ნიჭს მოკლებულია".

ევრილი თვლის, რომ ბრიტნი მხოლოდ გასართობად და სექსისტების არსებობს. "ძალიან უნდა, რომ სექს-სიმბოლო იყოს და სულ ცდილობს, ისე მოგვაჩვენოს თავი, თითქოს ვინმესთან სექსი ჰქონდეს. ის, შესაძლოა,

სექს-ობიექტია, მაგრამ მომღერალი არავითარ შემთხვევაში არაა. მისი წარმართება მხოლოდ მისი სხეულის დამსახურებაა". სხვა დროს პოპ-როკერის ეს გამონათქვამები დიდ ორომტრიალს გამოიწვევდა, მაგრამ ახლა ბრიტნის მისთვის არ სცალია. ბრიტნი, მოგეხსენებათ, გათხოვებას აპირებს და, "ნიუ იორკ პოსტს" თუ დაუჯერებთ, დიდ გაუგებრობაში აქვს თავი გაყოფილი.

თითქოს, იოლი და ლამაზი ამბავია: მამაკაცი, რომელზეც გიჟდები, მოხდენილი კაბა, დიდი ტორტი და ერთი მღვდელთმსახური, რომელიც საქმეს ბოლომდე მიიყვანს. სინამდვილეში კი სიყვარულის დღესასწაულის წინ არსებობს საქორნილო კონტრაქტი, "ძველმოდური" და უნდობლობით აღსავსე სადემთილო ("რალა ჩემს ბიჭს მიჰყვება ცოლად?) და ქორნიების ბეჭედი, რომლის შექმნაც ბრიტნის თავად ჰქონია განზრახული.

რას იზამ: ყველას თავისი გასჭირვება, ყველა თავისებურად ერთობა და თავისებურად აკეთებს ფულს. ასე, ინტერნეტში ორი დღის წინათ ძალიან საინტერესო ვიდეორჩანაწერი გამოჩნდა, სადაც იმხანად 19 წლის კემერონ დიასი ტყავის ჩექმებში და გალახულ ქვედაბოლოში თავისი იმხანად ნორჩი გულ-მკერდის დემონსტრირებას ახდენს.

ინტერნეტსამსახურ "ფიფს სიქსის" ცნობით, კემერონს სადო-მანოხისტური სიყვარულის ტრფიალის სრული აღჭურვილობა ამშვენებს: ბადისებრი წინდები, მათრახი და ნილბანი მაკაკაცი, რომელსაც ის ძალღვივით ღვედზე გამობმულს დაარბენებს. მერე კიდევ რალაცები ხდება, ისეთი, წესიერ გაზეთში რომ არ დაინერება.

ეს კარგი ფირი მისმა გადამღებმა, ფოტოგრაფმა ჯონ რატერმა გასულ წელს 3,3 მილიონ დოლარად გაყიდა, და მას აქეთია, დიასთან სასამართლოში აქვს საქმე. დიასი ჩივის, მაშინ მიჭირდა და თავი იმითმ გადავალბინე, ახლა კი ნახეთ, როგორ მზაგარავსო; ფოტოგრაფი კი ამბობს, კემერონმა მომატყუა, კონტრაქტის პირობები დარღვევია და ახლა 10 მილიონი გადამიხადოსო.

როგორც კი ეს საქმე რამენაირად გადაწყდება, აუცილებლად შეგატყობინებთ.

ბაიროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა აცხადებს ვაკანსიას **სასკოლო კვების პროგრამის კონსულტანტის** თანამშრომლობაში.

დანერგებითი ინფორმაცია აღნიშნული ვაკანსიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: www.jobs.ge

სასკოლო მეთოდური გაზეთები

შპს შელია ოჯახი "განათლებელი საქართველო" და შპს "რუსთაველი 2 პრინტი" გათავაზობთ ხელმოწერილ 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდური გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდური გაზეთები მოგანდობთ ყველა ელასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდოლოგიას და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგანმანათლებლო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებზე ხელმოწერა ჩატარდება 2004 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე. გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004 წლის 20 აგვისტოდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.

სამსახური

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიური"

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული, ტელ.: 93-50-84, (899) 55-15-84

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი "მზიური"

გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბუჭდვის აბრევიატური მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: **გ.უხანაძის N70** ტელ: 29-48-61

ვებ-გვერდი: **WWW.MZIURI.GE**

ლაგუნა - შიკარული

დასასვენებელი კომპლექსი ოზურგეთის რაიონი, დაბა შეკვეთილი 2004 წლის ზაფხულის ფასები

სასტუმრო	პანსიონატი
1 პერსონა 1 დღე 22 USD	1 დღე 1 პერსონა 9 USD
7 დღე და მეტი 20 USD	3-4 პერსონა 1 ოთახში 7.5 USD
	ბავშვი (4-10) 6 USD

ფასი შეიცავს

- ცხოვრებას სასტუმროში
- სამაგიერად კვებას
- კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედანს

ფასი არ შეიცავს

- სასმელის ღირებულებას
- მასაჟს
- სამრეცხაო მომსახურებას

ანგარიშსწორება ღირებულება გამოქვეყნებული კურსის მიხედვით. ფასები გამოქვეყნებულია 2004 წლის მაისში. ცვლილება შესაძლებელია.

ინფორმაციისთვის დაჯინგავთი: 8 99 507 606, 8 93 174 464

თქვენი რეკლამა ავტომატურად

20-24-04
20-00-24

საოჯახო ღემე

შეიძინეთ გაერთიანებული მოიგეთ!

სალხინო

სალხინო - ანესრიგების კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიკის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიკეპტში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ღირებულებას.

"ენ-ჯი-სი ტური"

ბთაპაზობი

დასვენებას თურქეთის სუპრადიუსო კურორტებზე. ინდივიდუალურ და ჯგუფურ სამსახურსიო ტურებს.

მის: **გამსახურების №28** ტელ: **37 33 99** **37 34 99**

NGCTOUR@YAHOO.COM